№ 30 - 1916 | ფასი 12 კაპ
...ირა, 24 მკათათვ

წელ. მეოთხე გამოცემისა

ჟურნალი წლიურად—5...
ნახევარ წლით—3 მ. მი...
სამართი: თბილისი, რედ...
„თეატრი და ცხოვრება...
იოსებ იმედაშვილს.

† კიკნა ფშაველი და გრ. ხერხეულიძე,
13 მკათ. თიანეთში ტრაგიკულად გარდაც.
იხ. ამავე ნომერში „საიდუმლო ტრაგედია"

კ. ს. ცხომელიძე,
მომღერალ-მსახიობი, იხ. ამავე ნომერში I5 გვ

ქართველი გრიგორიანები

გაზეთი „სამშობლო“ ღია წერილით მიმართავს ცნობილ ქართველ მოღვაწეებსა და პოეტებს, სარწმუნოებით გრიგორიანებს და დარწმუნებულია, რომ მათი პროტესტი საზღვარს დაუდებს სომხის შოვინისტების განგაშს.

სომხის შოვინისტებმა ძალიან კარგათ იციან, რომ ყველა ეს ცნობილნი პირნი, რომლებსაც „სამშობლო“ მიმართავს, ქართველები არიან და საქართველოს ემსახურებიან; მათ ძალიან კარგათ იციან აგრეთვე, რომ ქართველი გრიგორიანები საქართველოში არიან. მიუხედავათ ამისა რამდენიც უნდა აუწყონ მათ ან. წერეთლისამ, გრიგოლ გველესიანმა, გრიშაშვილმა და ახოსპირელმა, ისინი მაინც ეცდებიან, ქართველ გრიგორიანებს დაეპატრონონ და გაასომხონ.

ეცდებიან, რადგანაც ამგვარ ცდას სომხის შოვინისტებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

სომხის ხალხს ღმერთმა კარგი მისცეს; ხოლო საქართველოში პირველ როლს თამაშობს და თავის საკუთარ მიზანს ახორციელებს სომხის ხალხი კი არა, არამედ სომხის სხვილი ბურჟუაზია. მისი მისწრაფებაა საქართველოს ხელში ჩაგდება, ამ მისწრაფებას ის სისტემატიურათ, დაუღალავათ, დიდის მოფიქრებითა და ოსტატობით ახორციელებს.

ქართველი ერი ისპობა; მისი ალაგი უნდა დაიკაოს სომხის ერმა, როგორც ეკონომიურათ უფრო ძლიერმა და უფრო მომზადებულმა,—აი სომხის მსხვილი ბურჟუაზიის ღრმა რწმენა. ამ რწმენიდან გამომდინარეობს მისი პოლიტიკაც.

ჩვენ გვინდა წერილებითა და პროტესტებით მას რაღაც შევაგნებინოთ, გზა გამოვაცვლევინოთ,—წყლის ნაყვავა მხოლოდ

სომხის მსხვილი ბურჟუაზია საქმეს აკეთებს და ძალიან დიდ საქმესაც

გრიგოლ გველესიანი, ან. წერეთლისა და სხვანი მისთვის საჭირონი არ არიან, მისთვის საჭიროა ის გლეხები, რომლებიც შუაგულ ქართლში ცხოვრობენ და გრიგორიანები არიან. რა ვუყოთ, რომ ისინი ქართველები არიან, სამაგიეროთ სარწმუნოებით ისინი გრიგორიანები არიან და გაუნათლებელი ხალხი—გლეხობა სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთი-მეორისაგან ვერ არჩევს,—სარწმუნოებით გრიგორიანი ან მაჰმადიანი გვარტომობისაც სომეხი ან თათარი ჰგონია.

აი, გლეხობის ასეთი შეუგნებლობა მეტის მეტათ ხელსაყრელია სომხის მსხვილი ბურჟუაზიისათვის; თუ მან ჩაუნერგა ის აზრი ქართველ გრიგორიან გლეხებს, რომ ისინი ჩამომავლობითაც სომხები არიან, მაშინ იმის ხელში გადავა მთელი რიგი სოფლებისა შუაგულ ქართლში.

ამ სოფლების აღება სომხის ბურჟუაზიის მიერ ჩვენი დიდი დამარცხება იქნება. სომხის მსხვილი ბურჟუაზია ისეთს სიმაგრეს ჩაიგდებს ხელში შუაგულ ქართლში, როგორსაც ვერაფითარი მანთაშოვები ვერ შეიძენდენ თვისი მილიონებით.

რამდენათაც ვიცი, გორში არსებობს კომიტეტი, რომლის მიზანიც არის გორის მაზრის გრიგორიანი ქართველები გაასომხოს. ეტვს გარეშეა, ეს კომიტეტი დახმარებასა და დარიგება-ინსტრუქციებს თბილისიდან ღებულობს.

რა გააკეთა ამ კომიტეტმა? აი რა:

წინეთ წირვა-ლოცვა ამ სოფლებში უმთავრესათ ქართულათ სწარმოებდა, ღღეს-კი მხოლოდ სომხურათ.

წინეთ ყველა ეს აკოფაშვილები, ტერტერაშვილები, თათულაშვილები, ლოლაძეები ვეტყოდენ: ჩვენ ქართველები ვართო, ახლაკი შეგნებულათ ამბობენ: ჩვენ სომხები ვართო, აკოფიანც, ტერტერიანც, თათულიანც, ლოლაძიანც და სხვ.

აი რა გააკეთეს სომხის შოვინისტებმა და ჩვენ-კი გვინდა პროტესტებით და წერილებით დიდი ეროვნული საქმე გავაკეთოთ.

რომ ჩამოვთვალო ყველა ის ფაქტები, რომლებიც მარტო მე ვიცი და რომლებიც ახასიათებენ სომხის შოვინისტების მოღვაწეობას ქართველ გრიგორიანებში, ძალიან შორს წაგვიყვანდა

დავასახელებ მარტო ერთს.

ქართლელი გლეხი მოვიდა ჩემთან ცო-

ლიანად. ახალგაზრდანი იყვნენ. კუპრი რომ წაგეცხოთ ორივესთვის, მაინც იცნობდით, რომ ქართველები იყვნენ.

როდესაც ქალს დავეკითხე, რა გვარი ხარ მეთქი, ლოლაძეო, მიპასუხა.

— ლოლაძე-კი არა, ლოლაძიანც, სომხები ვართო, — გაუსწორა ქმარმა.

— ჩემო ძმაო! ლოლაძე და სომეხი ვის გაუგონია, ალბათ სარწმუნოება გაქვს სომხისა, ისე კი ქართველი ხარ მეთქი, გავუსწორე ქალს, მაგრამ ის თავ სას არ იშლიდა: არ, ბატონო, ჩვენ სომხები ვართ, ლოლაძიან�o.

ეს ერთი მაგალითიც საკმაოთ ამტკიცებს სომხეს ნაციონალისტთა საქმიანობას და ჩვენს დაუდევრობას. ქართველი გლეხი როდესაც იმდენათ გადარჯულდება, რომ ლოლაძეს ლოლაძიანცათ გადაიკეთებს, მისი გადმორჯულება მეტთ დიდ მუშობას მოითხოვს.

რა უნდა ვქნათ ჩვენ?

მგლის თავზე სახარების კითხვას თავი უნდა დავანებოთ და სომხის ნაციონალისტების საქმიანობას ჩვენც საქმით ვებრძოლოთ.

უნდა დავაარსოთ სკოლები ქართულ გრიგორიანთა სოფლებში და შევასწავლოთ ქართული წერა-კითხვა.

უნდა ვეცადოთ, რომ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სწარმოებდეს ამ სოფლებში

უნდა ვეცადოთ, რომ ტერტერებათ ქართველი გრიგორიანები იყოს ამ სოფლებში.

უნდა დაიბეჭდოს პატარა წიგნები ქართველ გრიგორიანების შესახებ, უნდა იყოს ჩამოთვლილი შიგ ანბანზე ყველა ქართველი გრიგორიანების გვარები და ამგვარი წიგნები უფასოთ უნდა რიგდებოდეს დრო და დრო სისტემატიურათ ქართველ გრიგორიანების სოფლებში.

უნდა ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი ქორწინებას ქართველ გრიგორიანთა და ქართველ მართმადიდებელთა შორის. ქართველ გრიგორიანთა ნიშიერი ყმაწვილები უსასყიდლოთ უნდა აღვზარდოთ ქართულ გიმნაზიაში და სხვ.

ყველა ამისთვის ბრძოლაა საჭირო და დიდი ბრძოლა, რადგანაც სომხის ნაციონალისტები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რომ ქართველი გრიგორიანები ხელიდან გამოგვგლეჯონ.

ჩვენც ყოველგვარ საშუალებას უნდა მივმართოთ, დავიხმაროთ ყველა ვინც-კი ამ დიდ საქმეში გამოგვაღგება და მაშინ და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ მიზანს.

ეკ. ...

ცრემლები ეკრაელისა

(ვუძღვნი ა. შტეინმანს)

მ ი ბ ა ძ ვ ა

არ მაქვს სამშობლო, არ მაქვს მამული,
მარად დევნილი დავძრწი, ვწანწალებ;
არ შემხვედრია მე თანამგრძნობი,
ოჰ! ბედო, ბედო, რარიგ მაწვალებ!
პალესტინასა შორიდან შევსტრფი,
მიახლოვების არა მაქვს ნება;
რომ ვადვიარებ მოსეს კანონსა,
მით არ მეძლევა თავისუფლება...
დიაღ! მეც მიყვარს ჩემი სამშობლო,
ჩემი ეფრატი, ტიგროსი ჩემი...
მაგრამ დევნილი ძალდატანებით
მას შორს გაურბი, როგორც ირემი...
ჩემო აკვანო, შენ ნუ გგონია,
ვითომ შორს რომ ვარ მით არ მიყვარხარ;
ჩემი ოცნება და ჩემი მრწამსი,
სამშობლო ჩემო, მაინც შენა ხარ.
თავზე დავტირი წარსულს დიდებას,
თუმც ვიცი, რომ ის არ მობრუნდება,
და ნუ გგონია, რომ შენი სახე
ამ წყლულ გულშია ვითომ ხუნდება.
მეც მაგონდება შენი წარსული,
შენი ძველი დრო, შენი დიდება,
დღეს რომ სხვას ვხედავ შენ თავზე ბატონს
წყლულს გულში სევდის სიმი იბმება.
მწარედ ქვითინებს და ამ ქვითინით
შენს ლოლოვლთ ჩვილთა იმეღს ულვიძებს
„მაინც ი ედი:ა ამა ‘ ი ტ ყვითა
ის მოუწოდებს ეფრატის შვილ ს.

ალ. იასაღაშვილი





სტუდენტი გრიგოლ ზურაბის ძე ხერხეულიძე

13 მკათათვეს თრიალეთში ტრაღიკულად გარდაცვლილი სურათი გადაღებულია 1910 წ. გიმნაზიელობის დროს, როცა თავისი პირველი ლექსთა კრებული „პირველი სხივი" გამოსცა.

უფსკრული

(მოთხრობა ახლახან ტრაღიკულად გარდაცვლილ სტუდ გრიგოლ ხერხეულიძისა)

ზაფხულის მთვარიანი ღამე იყო. მდინარის პირად, სადაც ორსართულიანი შენობაა აღმართული, ახავერდებულს ბაღში საამო ნიავი ლაღად დასეირნობდა. ირგვლივ იდუმალება მეფობდა; მხოლოდ მდინარის გაალმასებული ხმა და ნიავისაგან შექანებული ჩახლართული ფოთლები ხანდისხან თუ დაარღვევდნენ ხოლმე სიჩუმეს.

მთვარე ერთს მთლიანს ცეცხლის ზღვას წარმოადგენდა, ყველას ეძინა. არ ეძინათ მხოლოდ მდინარის პირად სახლში მცხოვრებთ, რომელნიც ზეიმს ეძლეოდნენ. გაჩირაღდნებული ქოლები ელექტრონისავით ელვარებდნენ.

აგერ ნიავი მოსწყდა კლდეს და ზეჩეულად გადმოსრიალდა. ხეივნის ფოთოლნი შეშრიალდნენ, განზე გადაწვნენ, გადიხარნენ და მთვარის შუქზე ხეივანში ხის სკამზე, ორი ფიგურა გამოჩნდა.... შეყვარებულნი იყვნენ.

დიდი დაკვირვების შემდეგ გაარჩევდით, რომ ერთს მათგანს ძალიან ნაკლებად ეცვა, რაიც მოწმობდა მის სიღატაკეს. დაღონებული, ფერმიხდილი ოდნავ იყო დანდობილი სკამზე და ცეცხლის მფრქვეველი არწივის თვალებით ქალს მიშტერებოდა ზღვასავით უძირო თვალებში. უკანასკნელი ვაჟის მუხლებზე მსუმბუქად ჩამომჯდარიყო და თავით ძალზედ ეკვროდა ვაჟის მკერდს მას ეცვა სადათ, მაგრამ ძალიან სუფთად და შნოიანად. მთვარე შორიდან უხვად შესთავაზებდა კოხტად შეკრულ სხივებს თაიგულს. ვაჟის დანაღვლიანებულ სახეს რაღაც მჭმუნვარების ზოლი შესამჩნევად აღბეჭდოდა. ხანდასმით თავდავიწყებას ეძლეოდა და უსულო ქანდაკებასავით უძრავად რჩებოდა დიდხანს. ქალი კი მტკიცედ ეკვროდა გულში. შიშველა ხელს აღგზნებულად ხვევდა ვაჟის ყელს და ბროლის თითებს შნოიანად ხლართავდა მისს ხუჭუჭს თმაში.

— ჩამიკარ გულში მაგრა, მაგრა.. მე შენი ვარ, შენი. მე მხოლოდ შენ გეკუთვნი.

ვაჟი წამით გამოერკვია ფიქრებს. იმედმიხდილი თვალები შეაფეთა ქალს და გაშმაგებულად მხურვალე კოცნით დაუფარა სახე.

— ჰო, ეგრე, ჩემო კარგო, ეგრე... ოხ, რომ იცოდე, რა ნეტარებასა ვგრძნობ! ასე მგონია ეს ქვეყანა მხოლოდ ჩვენთვის იყვეს შექმნილი და ყველა ჩვენ შემოგვნატროდეს. ჩვენ ეხლა თავისუფალნი ვართ. სიცოცხლე და სიხარული ეხლა ჩვენშია

ვაჟმა მწარედ ჩაიქნია თავი.

— კიდევ სევდა, კიდევ დარდი!—გაკვირვებით შეეკითხა ქალი: ნუ თუ კიდევ ეჭვი გეპარება ჩემს სიყვარულში?!.

— არა, ჩემო კარგო.—იყო ვაჟის პასუხი. — მე გფიქრობ ჩვენს წოდებაზე. შენ დიდიკაცის ქალი, ბრწყინვალე წოდებისა; მე კი—ვიღაც ნაბიჭვარი, გლეხი.

— დაანებე თავი გულის შემზარავ ფიქრებს. მე არ ვიცი რა არის წოდება: ჩემთვის ქვეყნად არაფერი არ არსებობს შენს გარდა. მე შენი ვარ, შენი. მე არ ვიცი რა არი სევდა, დარდი. მე არ ვიცი რას ჰქვია მწუხარება. რა უყოთ, რომ მე ფუფუნებაში აღზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ვარ. მე შენ შემიყვარდი. მე შენ გა-
ბიხადე ჩემს ბატონად, ჩემს მეფედ. მე მონა
ვარ შენი, მონა: შენ კი—ჩემი ქურუმი, ჩემი
ღმერთი, გესმის?—დაანებე თავი ჯოჯოხეთურ
ფიქრებს. მიმიკარ გულზე. მინდა ერთი წამით
მაინც არის ვიგემო სიცოცხლე, დავსტკბე
სიყვარულით.

ვაჟმა ათრთოლებული ხელები რკალივით
შემოაჭდო ქალის წერწეტა წელს და იმ გვარად
მიიკრა მკერდზე—თითქოს გასრესას უპირებს.

— რა წარმტაცი, რა ანგელოზი რამა ხარ,
ჩემო ღვთაებავ! დიახაც შენ ჩემი ხარ და
ჩემი იქნები ყოველ. თვით ღმერთსაც არ და-
ვუთმობ შენს თავს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ჩვენ შორის დიდი უფსკრულია".

— დეე იყოს... მე მაინც მარდად გად-
მოვფრინდები შენთან.

— საეჭვოა... მშობლებმა რომ ნება არ
დაგრთონ მაშინ?"

— როგორ! მაშინ ჩემთვის მშობლებიც
აღარ იარსებებდნენ, მაშინ მხოლოდ შენ იქნე-
ბოდი ჩემი მშობელიც და ყველაფერიც, ჩე-
მი ხატი, ჩემი ღმერთი!!. და მძლავრად
მიიკრა მკერდზე.

გულმა სიხარული იგრძნო. სევდა გაჰქ-
რა. სულის წამება, რომელიც ჯოჯოხეთურ
ტანჯვაზე უარესია, ვნებათა ტალღამ შესცე-
ალა. ორი სულიერი არსება ერთად ჩამო-
დუღდა. გიჟმაჟურმა ტრფობამ გაიტაცა, თავ-
დავიწყებას მისცა ..

უცებ რაღაცა შეჰკრთა... იღუმალი ხმა
ესმა ქვეყანას. სიჩუმე... ხვაშიადით სავსე
ბორცი მოსწყდა როიალს და მარგალიტე-
ბად გაიბნა ჰაერში ყველაფერი გაინაბა.
ბოსწყდა ძარღვი სიცოცხლისა სუნთქვაც შე-
ბორკა. ზრახვანი ჩაკვდნენ გულშივე. წამიც
და ხმამაც დაიკვნესა მელოდიურს ჰანგზე.
ეს ეთერში გაიბა ქსელი და შიგ ნაღველი
ჩაქსოვა, გულმა ტოკვა დაიწყო. აფორიაქე-
ბულ ზღვასავით, ხმის მღელვარებას დაემორ-
ჩილა, დაემონა და რწევა იწყო.

დიდ პალატიდან კვლავინდებურად
ბავიწყებით სჭექდა, მაგრამ ამავე დროს
ბავი

თითქოს სტიროდა საამური ხმა, რომლის ნა-
ღვლიანი კილოც მსმენელთა გულის მტკივ-
ნეულ ძაფს ნაღვლიანადვე აყღერებდა. მღე-
როდა, მაგრამ ეს სიმღერა მწუხრის ჟამის მე-
ლოდიას უფრო წააგავდა, რომელიც მწარედ
მოსთქვამდა ქვეყნის ცმაოებას

კიდევ წამიც და ირგვლივ სიკვდილი
გამეფდა.

— როგორ! შენ სტირი? გაისმა ქალის
ხმა...

იღუმალება.

— შენს თვალებზე ცრემლები?!—კვლავ
აკანკალებულის ხმით შეეკითხა ქალი.

— ვსტირი, ცრემლსა ვღვრი და ეს
ცრემლიც შენმა სიყვარულმა დაიმსახურა.
იყო ვაჟის პასუხი.

სამარისებური სიჩუმე.

— მაგრამ, შენ კიდევ სტირი, ღმერთო-
ჩემო!

ირსით პასუხი, ვაჟი სდუმს. მის ღრმა,
ზღვასავით უფირო თვალებიდან ღაპაღუპით
გადმოდიოდა მარგალიტი ცრემლები და მის
შეყვითლებულს, შენაცრეანებულს ღაწვებს
ეკიდებოდა. ქალიც სევდამ წარიღო. შავი
მტუნვარე ფიქრები იმგვარად შემოერტყა გარს
თითქოს მინდვრად გაბმარტოებით მდგარ მუ-
ხას გუნდი მტრედისა ზედ დაეშვაო.

მაგრამ ფიცლავ თითქოს ვიღაცამ მუჯ-
ლუგუნი წაჰკრა, გამოერკვა, დაკვდა ტუ-
ჩებით სატრფოს დანამულს ლოყას და სწრა-
ფად შეაშრო მდუღარე ცრემლები.

ყველაფერი სდუმდა. მთვარე ისევ ამოყვა
დასურავ-დასეირნობდა ცაზე და ღამის
წყვდიადს სდარაჯობდა.

იქ კი, პირდაპირ, ვიღაცა კვლავ კვნე-
სოდა, მღეროდა. ხან თითქოს მიინაბაო, ისე
ეკარგებოდა სმენას მიმკვდარი ხმა, ხან კი
მძვინვარებდა, ნელის სუნთქვით ხმის აუმაღ-
ლებდა, კვნესას კვნესა ემატებოდა, ღამობდა
ბოღმის და ნაღველის გადმონთხევას, მაღლა-
მაღლა მიიწევდა ციოქროს ცის თაღს გარღვე-
ვას უპირებსო და მეფურად, არწივის მგსავსად,
ცაში კამარას ჰკრავდა,

ყველაფერი მოჯადოვა. მწუხარება ნე-
ტარებას და სიკვდილი სისცოცხლეს ჩაეწებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. აგერ გულს მალამოდ მოეცხო, კანკალით დაიძრა და ვულკანისებურის ქუხილით ქართველის დაოსებული გულიდან ამოხდა განწირულების მკვნესარე ხმა, რამაც მთლად გადმოანთხია ბოღმით და სევდით გალივლივებული ფიალა. წავიდა ზევით, ზევით, უკანასკნელად გაიზმორა, დაიგმნა და მოსწყდა სადღაც შორს, ძალიან შორს.

ღამის მოტრფიალეთა მხიარულმა ყიჟინამ კვლავ დაარღვია მიძინებული ქალაქის მყუდროება. გაისმა გალაღებულთა სიცილ-ხარხარი და აპლოდისმენტები. ზეიმის ერთერთ ქურუმს, მომღერალ-ქალს გამარჯვებას ულოცავდნენ და ვაშას შესძახოდნენ.

ბალში-კი, ხეივნებ შორის შორსმჭვრეტელი თვალი გულის საკლავ სურათს ნათლად გაარჩევდა: შიშით შეპყრობილი ქალი ათრთოლებულის ხელებით მსუბუქად ეხებოდა ვაჟის გადაღეღილ მკერდს, რომლის ქვეშაც ფართხალებდა ძარღვი სიცოცხლისა. ვაჟის გაყვითლებულ სახეს ნაცრის ფერი ედებოდა: თვალები ებნიდებოდა, ეხუჭებოდა, კანკალებდა, ცახცახებდა.

იგი კვდებოდა.

გრ. ხერხეულიძე †

ჩვენ და ჩვენი თეატრი

ჩვენ წინ ძევს სამი, სხვა და სხვა გამოცემაში დაბეჭდილი, სხვა და სხვა ავტორის წერილი. ერთი მათგანი დაბეჭდილია თორმეტი წლის წინად, ხოლო ორი სხვა ამა წლის მკათათვის პირველ რიცხვებში*).

სამივე წერილი ერთსა და იმავე საკითხს უტრიალებს,—ჩვენი თეატრის დუხჭირ მდგომარეობას დაკვნესის. არა თუ თემატიურ საკითხით, თვით ფორმის მხრითაც არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეს წერილები.

1904 წლის წერილის ავტორიც გულდაწყვეტილად გვიამბობს სათეატრო შენობის უქონლობას, სცენის მოღვაწეთა ცუდ ნივთიერ პირობებში ყოფა-ცხოვრებას და წრევანდელი წერილების ავტორიც. სამივე ავტორი იმ იმედით ათავებენ წერილებს, რომ ქართველი საზოგადოება, პრესა და თვით მსახიობებიც შეეცდებიან სათეატრო საკითხის დადებითად გადაჭრას მოკლე ხანში. 1904 წლის წერილის ავტორის წუხილს ისიც აძლიერებს, რომ მაშინ ჩვენი რეპერტუარი ღარიბი იყო, „მაღალი“ საზოგადოება „ხათრის“ გულისათვისაც არ დადიოდა თეატრში და მაშინდელ მცირე რიცხოვან გათვითცნობიერებულ ქართველ დემოკრატიის ამარად ჩვენს წარმოდგენის მმართველებს ყოველთვის დეფიციტი მოსდიოდათ; მაშინ თეატრი თვით ჩვენს ქალაქებშიც ძლივს იდგამდა ფეხს და დაბა-სოფლებში ხომ სანატრელი ხილი იყო წარმოდგენა. დღევანდელი ავტორები ვერც რეპერტუარის სიღარიბეს შესჩივლებენ და ვერც წარმოდგენებზე დამსწრეთა სიმცირეს.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სასცენო ხელოვნებამ დღეს დაბა-სოფლებშიც საკმაოდ მოიკიდა ფეხი; მისი პატივისმცემლები ყველგან საკმაოდ მოიპოვებიან— ქალაქებშიც და დაბა-სოფლებშიც, მხოლოდ, მცხოვან მწერალ-მოღვაწის ნ. ნიკოლაძის თქმის არ იყოს, ჩვენი საზოგადოების ორგულობის და ხშირად უთავბოლობის მიზეზი საზოგადო სარდლების უყოლობაა.

ნუ თუ 1904 წლიდან დღემდის იმდენათაც ვერ წავიწიეთ წინ, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მაშინაც და დღესაც ერთი და იმავე ენით უნდა ვილაპარაკოთ?

არა, ეს დაუჯერებელია ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ასე არ არის!

აქ ჩვენი წინსვლა არც იმდენ შუაშია. სწორედ რომ უსარდლობა აბნევს ჩვენს საზოგადო ძალებს. ამის დამამტკიცებელი ისიც არის, რომ ჩვენში ბევრი საქმე დასაწყისშივე იფუშება, დღეს ცამდის ამაღლებული საზოგადო სურვილი, ხვალ მიწის პირს ეკვრება.

ჩვენს საზოგადოებას ერთგვარი სენი დასჩემდა: ის ყოველ ახალ დასაწყისს დიდის ხმაურობით შეხვდება, ხოლო როცა საქმე ნამდვილ ენერგიას და თანაგრძნობას მოითხოვს, მაშინ საყვირია საქირო იმავე საზ-ბის შემოსაკრებათ...

*) იხ. „მოამბე“ № 10 1904., „თეატრი და ცხოვრება“ № 28 — 9.6 წ. და „სახ. ფურცელი“ № 618 ამავე წლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი თეატრის დაწვამ ხომ ერთობ აახმაურა ჩვენი საზ-ბა, თბილისელ მუშაკებს თითქმის სვანეთიდანაც-კი ამხნევებდენ. ეს მოვლენა ყველას გვახარებდა: ვფიქრობდით, ამდენ თანამგრძნობთა ხელში ცოდვაა ქართულ სცენის დაობლებაზე ლაპარაკიო. თბილისში ჩვენს მოსიტყვე მოღვაწეებს რომ თავი დავანებოთ, ხატისოვ-ჯაბარებიც ხომ მამობას პირდებოდენ ჩვენს სათეატრო ხელოვნებას. ვინ იფიქრებდა, რომ შარშანდელი თავგამოდებული გულშემატკივარნი ჩვენი თეატრისა წრეულს იმავე თეატრის აწეწილ საქმეების ოდნავ ყურადღების მოსაქცევათ მაინც იქნებოდენ მოსახმობნი? არა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს საზარელი სენი ჩვენს მომავალ თაობასაც გადაედვას, ეს ხომ დაცინვაა საზოგადო საქმისა და თვით საზოგადოების!

კითხულობთ წერილებს ჩვენი დედაქალაქის თეატრის, მცხოვან და დამსახურებულ მსახიობთა შესახებ,—ეცნობით ამავე დროს იმათ „მოღვაწეობასაც“, ვინაც ამ საქმეებზე უნდა ზრუნავდენ და გული გიკვდებათ; თუ ჩვენ არა, მაშ ვინ უნდა იზრუნოს ჩვენს საზოგადო საქმეებზე? ხატისოვებმა, რომლებიც წარმოდგენების სამართავად კლუბისკენ მიგვითითებენ? არა, ჩვენში საზოგადო მოღვაწეობის „იარლიკებს“ ძლიერ იაფად არიგებენ, თორემ ასეთ საზოგადო საქმეების მრავალი თანამგრძნობნი „უსარდლოთ“ არ დარჩებოდენ.

„დროა შევიგნოთ, რომ სცენაზე მუშაობა ისეთივე საჭირო და სასარგებლო საქმეა, როგორც სხვა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა,“—ასე ათავებს წერილს 1904 წლის ამავე საკითხის წერილის ავტორი*) ნუ თუ ესვე უნდა ვიმეოროთ წელს, მომავალ წელს და ასე ბოლომდის? მაგრამ ეს ბოლო როდის აღმოჩნდება?

ვისაც ყური სმენად აქვს, ისმინოს: ჩვენს თეატრს ჩვენს დედაქალაქში თავშესაფარი უნდა ჰქონდეს, მსახიობებს ყოველთვის „კუჭზე“ ზრუნვისკენ არ უნდა ჰქონდეთ თვალები! ჩვენი ენის და სახის წმინდა დამცველი დღეს მხოლოდ თეატრია!

არ. ფანცულაია

*) იხ. „მოამბე“ № 10, გვ. 137.

საიდუმლო ტრაგედია

კიკნა ფშაველი—სიკო ბადურაშვილი და გრიგოლ (გრიშა) ხერხეულიძე

ცხოვრების სინამდვილემ ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებასა და სწავლა-აღზრდის საფუძველს კიდევ ერთი ღონიერი სილა გაულაწუნა.

მკათათვის 13 თიონეთში ორმა საუკეთესო ახალგაზდამ, ორმა ჯერედ გაუფურჩქვნელმა ძალამ საუკუნოდ დახუჭა თვალი...

ერთი— მწერლობაში კიკნა ფშაველის ფსევდონიმით ცნობილი, ახალგაზდა მგოსანი სიკო ბესარიონის ძე ბადურაშვილი, დორპატის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი, სოფ. ქებოტიდან, თიანეთის მაზ., მთიული გლეხის შვილი, 26 წლისა, ესფერთა თანამოაზრე, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1910 წ. ადრე და მრავალ წვრილ ლექსთა გარდა დასწერა ხუთი პოემა („დემონი და სერბიმი“, „მე და მუზა“, „ჟამის ზღაპარი“ და ორიც სხვა.) მისი ნაწერები ძმ. ხერხეულიძეთა მიერ ცალკე გამოსაცემად მზადდებოდა. სწავლობდა ქ. შ. წ. კ. გ. ს-ის სტიპენდიით.

მეორე—გრიგოლ (გრიშა) ზურაბის ძე ხერხეულიძე, დორპატისავე უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, მწერალი და პრაქტიკული მოღვაწე, 24 წლისა, ბარელი—ცხინვალიდან, თავადის შვილი, დასელთა თანამოაზრე. მუშაობდა თბილისის მუშებში, 1911 წ. ცალკე წიგნად გამოსცა თავისი იდეური ლექსები „პირველი სხივი“. დაწერილი აქვს დრამაც, თანამშრომლობდა ივ. როსტომაშვილის „სინათლე“-ში „თან. აზრ.“, ჩვენს ჟურნალში და სხვა

ერთი—კიკნა—ნამდვილი პოეტი, ვიწრო ჯგუფობრიობაზე მაღლა მდგომი, რომლის სული მიესწრაფოდა უმაღლეს იდეალებისკენ და მსოფლიო ნაღვლით გულ-დათუთქული მუდამ მკვნესარე მოსთქვამდა:

„როცა სოფელში ნიავდგარია, —
ეს არის ჩემი ცრემლთ ცხარია;

კიკნა ფშაველი—სტ სიკო ბადურაშვილი

13 მკათ. თიონეთში ტრაგიკულად გარდაცვლილი.

და როცა ნისდი ებურვის ტყესა,
ეს ორის ჩემი ფიქრების კენესა.
ბული ვერა სთმობს ცხოვრების მწარეს,
ფიქრით კი ვეცხოვრობ ოცნების მხარეს«.-ო.

მეორე—გიგა, ხალხის სამარადდიდ ნვით გატაცებული, რომელიც

ჩაგრულთ მხარეს ყმბორდებოდა
ტანჯვისაგან დახსნის, შვედის,
მიისწრაფოდა წინ, იქ,

„სადაც სიმართლე ადუმართავს ცეხე-დარბაზი,
სადაც ნეტარებს სიყვარული, ძმობა, ერთობა!..«

მუშაობდა, რომ

ტანჯულთ კერა კეკდვიძებინა,
და მრისხან ბრძოლისთვის მოემზადებინა«,

რომ

„ოუ თვით ორა — მაინც ერს ტანჯულს კეკეხარნა!«

და ამიტომაც ხალხისთა გავითცნობიერების მოტრფიალეს მოუწ-დებდა:

„იქრდე კვდავად წყვდიად-ბნელეთში,
მოწყვდი შუმუსრავ მტერთან ბრძოლაში!
და მხოლოთ მაშინ, მაშინ კი მხოლოდ
ძალგიძს კაღიქეკ რწმენის სიმბოლოდ«!

პირველი ამთვანი—კიკნა ხალხურ ადათ—ჩვეულებათა მტკიცედ დამცველი პირკუშტი, მეორე—გიგა ლაღი, ბარში თავისუფლად აღზრდილი, ორივე სიყრმის მეგობარ—ამხანაგნი, რომელნიც უერთმანეთოთ პურსაც არ გასტეხდენ, საზაფხულოდ მთას ეწვივნენ...

კიკნას მშობლებმა, ძმებმა და რძალმა გიგა ხელგაშლილი მიიღეს,—ხალხმა სიყვარულის გული გადუხსნა, როგორც კეთილ მზრუნველს—„პატარა ექიმს«.

ძმა-მეგობრებად გაფიცულნი ცხოვრობდნენ: შეადგინეს სკენის მოყვარეთა წრე და წარმოდგენების მართვა დაიწყეს ხალხში სინათლისა და სიყვარულის შესატანად. .

მაგრამ ერთ უბედურ ღამეს, 13 მკათათვეს, მოხდა საზარელი მკვლელობა: ვითომც კიკნას გიგოსთვის ცული დაეთხლიშოს და მერე თვითონაც თავი მოეკლას.

აი, ზოგიერთი ცნობა მკვლელობის შესახებ, განსვენებულ გრ. ხერხეულიძის ძმის მიხეილის მიერ გადმოცემული:

„ოფიციალური ცნობა, რომელიც იქაურებსაც სწამთ, ასეთი: გ. ხერხეულიძესა და ს. ბადურაშვილს მოსვლიათ კამათი, რომელიც ჩხუბად გადაქცეულა. ხერხეულიძეს, როგორც სტუმარს, იმგვარ მასპინძელთან ყოფნა საჭიროდ ვერ მიუჩნევია, აუღია თავისი ბარგი და წამოსულა. კიბეზე დასწეულა ბადურაშვილი, თავში ცული ყუით დაურტყავს, ხერხეულიძე იქვე გარდაცვლილა, ხოლო ბადურაშვილი სახლში შებრუნებულა და თოფით თავი მოუკლავს. სანამ გარდაიცვლებოდა რძლისათვის უთქვამს: „გიგოს ცული დავარტყი, ძირსა გდია... მე ხომ ვკვდები და ის ცოცხალი არ გაუშვათო... საწერ-კალამი მომეცით, ყველფერს დავწეროო«. ამ სიტყვების შემდეგ კი თვითონაც გადაცვლილა.

არის მეორე ვერსიაც: რაკი ჩხუბის შემდეგ ხერხეულიძეს წამოსვლა დაუპირებია, ბადურაშვილს სტუმრის წამოსვლით გამოწეულ სირცხვილისათვის და თვით ხერხეულიძისა და მისი მშობლების მიმართ მოკრძალების გამო ვერარ გაუძლია და თავი მოუკლამს. როდესაც ეს ბადურაშვილის ძმას გაუგია—ხერხეულიძისათვის, როგორც მისი ძმის მკვლელობის მიზეზისათვის, ცულს ყუით თავი გაუჩეხნია... სიმართლე ამ ცნობებისა არავინ იცის«

თვით ხერხეულიძის მშობლებს სიკოს მიერ მთი შვილის მოკვლა შეუძლებლად მიაჩნიათ.

საზარელი ამბავი მოჰხდა, მიზეზი მაინც ჯერ გამოურკვეველია.

მიზეზად სხვა და სხვა გარემოებას ასახე-

ლებენ: პარტიულს, უბრალო საკინკლაოს, სამიჯნუროს...

ნამდვილი კი არა სჩანს.

ტრაგედია ესე ღრმა საიდუმლოებით არის მოცული.

გრ. ხერხეულიძე მრავალ ხალხის თანადასწრებით დიდის გლოვინთ დაკრძალეს ობილისში; კიკნას ოჯახი-კი ვითომც მღვდელსა და მის მრევლს დაეკრულოს სტუმრის ღაუნდობლობისათვის...

ნუ თუ ამ ტრაგედიას საიდუმლოების ზეკარი არ გადაეხსნება?

კიკნა ფშაველს სახელი მოითხოვს უფრო მეტს ყურადღებას: მან თავისი სიკვდილი სიკვდილზე გაიმარჯვა—ნამუსისათვის თავი მოიკლა, ხმა ერისაც ზნეობრივად ნუ მოჰკლავს.

სინდისის მხილება მოითხოვს ამ საიდუმლო ტრაგედიის კვანძის გახსნას...

ეს საქმეა ჩვენი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის...

ჯერ-ჯერობით კი უგულითადესს თანაგრძნობას ვუცხადებთ უბედურად დღუპულ სიკოს და გიგოს მშობლებს: ამათი სიკვდილით ჩვენს ქვეყანას ორი ნიჭიერი ახალგაზდა უდროოდ გამოაკლდა...

იოსებ არიმათიელი

მეგობრეგს.

ირ. ევდოშვილის დაუბეჭდავი ლექსი

(ხეგ ლექსში დაბეჭდილია მხოლოდ ამისი პირველი ბრწყინარი)

(ტრ. ინასარიძისაგან გადმოცემული)

შრომა... ოფლის ღვრა... სიღარიბე.... ძუნწი ცხოვრებ...
თანამომენო, ღღეს ეს არის ჩვენი სვე-ბედი,
მაგრამ არ შედრკეთ, არ დაეცნეთ სულით, მამაცნო,
და ულელს მძიმეს ძალდ-დაჭიმვით მიეცით ქედი;
თუ რომ ოდესმე თვალებს თქვენსას ცრემლი მოაწვეს,
ნუ, ნუ დასწყევლით მშობელს თქვენსას და გაჩენის ღღეს,
მიეცით ნება, ღეე მკერდზე გადმოიღვაროს,
რომ ერთიორად ნაღველ-სმული გული ალაგზნოს!

ი. ევდოშვილი



† ილია ილიას-ძე მეჩნიკოვი,
რუსთა პროფესორი, განთქმული მეცნიერი, შედარებითი ემბრიოლოგიის და იმმუნიტეტის თეორიის ერთი შემგარდ. 2 მკათ. პარიზში.

ქურდი

ანუ

კეთილის-მეოფელი

(ეუმრობა 1 მოქ. ალ. მიუსარ-ვიკენტიევისა, გადმოკ. გრ. ალ. კელიას-მიერ.

მ.ეველნი:

ფხეკილაძე— პროვინციის მსახიობი.
ქურდი.
სასტუმროს პატრონი.
სტამბის გამგე
მრეცხავი ქალი.
ხსახური

(ცენა: უბრალოდ მორთული სასტუმროს ოთახი. ეუში შემოსავალი კარი. მარცხნივ ფანჯარა, მარჯვნივ ველდელთან კამოდი, ავანსცენასთან ახლოს პატარა მაგიდა და სკამი. მარცხნივ დივანი, საწოლის მაგიერი. კედელზე ძველი ფაფრები და გახუნებული გვირკვნი გახუნებულივე ლენტით)

I

ფხეკილაძე.

ფხეკ. (დადგრემიდი ზის დიანზე: ჭრელი შარვალი და ფერთო შლაპა) არც ერთი გროში! (წამოდგება) ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, გუტენბერგმა სტამბა გამოიგონა, პითაგორმა—შარავალი... მაგრამ გარწმუნებთ ეს უფრო ადვილი იყო იმათთვის, ვიდრე ჩემთვის ერთი მანეთის შოვნა. ეჰ! სად ი შოვნი? „ყოველ ოჯახში არის ფული, მხოლოდ უნდა იცოდე სადა დეეს“... (დიანზე დაწვება. ბაუზა) მშია... „ცარიელ მუცლით, გაბერ-ეტილი ჯიბით, უსახლკარო, უპატრონოთ“ დ ვიძინებ მაინც.

II

იგივე და მსახური.

მსახ. (კარს აკაკუნებს ნელა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხეკ. შემოდით... შემოდით...

მსახ. (ეფორ ძღეერ ჯაკუნებს)

ფხეკ. შემოდით, დაგწყევლოს ღმერთმა!

მსახ. (შემოდის) გამარჯობათ.

ფხეკ. აბა! ალექსი გამარჯვება. როგორ გიკითხოთ?

მსახ. გმადლობთ, ბატონო, თქვენ როგორ ბრძანდებით?

ფხეკ. გმადლობთ. . დღეს ჩინებული ამინდია...

მსახ. მართალს ბრძანებთ! ჩინებული დღეა... (ანკარიშს კადსცემს) მეტადრე ჩემი ბატონისთვის...

ფხეკ. (ამოჭნარებს) დიახ, დიახ... მაგრამ რაღაცა საშინლად მეძინება.

მსახ. თითონ ბატონს უნდოდა მოსულიყო...

ფხეკ ალექსი, რამდონჯერ მითქვამს, რომ ჩემთან შენი ბატონი არ ახსენო... განა შეიძლება ლაპარაკი იმ პირუტყვზე,

„როდესაც ყვავის ზაფხული!

ღამე კაშკაშებს!

ტყე შრიალებს, ზღვა გვიალერსებს

და ყვავილთ ყნოსვა სევდას გვიქარწყლებს“

მსახ. ბატონო, წინა თვეშიაც ლექსებს მიკითხავდით... სჩანს ეხლაც არაფრის მოცემა არ გინდათ?

ფხეკ. მართალია.

მსახ. ჩემი ბატონი-კი დღეს დაბრუნდა, ნუხას იყო წასული სავაჭროდ. რაც ფული წაიღო—სულ დახარჯვია და ეხლა-კი ფული უქირს.

ფხეკ. კარგია. კმარა ამაზე ლაპარაკი. საქმე გადაწყვეტილია .. მე მას ერთ გროშსაც არ მივცემ.

მსახ. მაშ რა მოვახსენო ბატონს?

ფხეკ. უთხარი, რომ სამწუხაროდ კიდევ ცოტა ხანს უნდა მოითმინოს... უთხარი, რომ მე მივიღე ანგაჟემენტი და ფულსა და დებეშას ყოველ დღე ველი.

მსახ. ეხ! მესმის... სამი თვეა გაჟიმენტს ელის!... ეხ!

ფხეკ. კმარა, ალექსი! მოშლილ გრამაფონივით ნუ ოხრავ, თორემ მოთმინებიდან გამოვედი.

მსახ (მიდის კარისკენ)

ფხეკ. მოიცა... გამიგონე ..

მსახ. რა გნებავთ?

ფხეკ. იცი რა... ეს... როგორა ვსთქვა, არ შეგიძლიან ერთი მანეთი მასესხო?

მსახ. ხე, ხე, ხე! როგორი ხუმრობა იცით, ბატონო, ხე! ხე, ხე, (კადის)

ფხეკ. (მარტო) სად ვიშოვო? დალახვროს ღმერთმა! იქით კვირია ჟორჟი დავლეტყვე, ეხლა იმასაც ასახლებენ... ხარაძე მუდამ მთვრალია... მაგრამ ვცდი... (შდაბეს ალიებს და კადის. კარების უკან მოისმის ხმაურობა, ანარდით კარების კდეტეს ალებენ, კარი კაიდება. შემოდის ქურდი, კარგა ჩაცმული ემაწვიდი. ნაცრის ფერი ბალტო, ერთ ხელში კდეტის კასადები (отмычка) უჭირავს, მეორეში ბატარა ჩემოდანი ან სკვიბაკი)

III

ქ ე ურ დ ი.

ქურდი. ამას წინად გაზეთში ამოვიკითხე, რომ ერთი გამოჩენილი მსახიობი ქალი თურმე რაღაც გაუგებარ შიშს განიცდის, როდესაც სცენაზე გამოდ ს... მეც.. აი, აგერ ათი წელიწადია, ათი... ღმერთო, და, როგორ გარბის დრო!.. ათი წელიწადია რაც ვმუშაობ, და ყოველთვის, როდესაც კარს ვტეხავ (გუდზე მიდების ხელს) აქ რაღაც გულის ძგერას ვგრძნობ... მაგრამ ეხლა გაიარა კიდეც.., (ათვალიერებს) სად მოვხვდი? (დანახავს გვირგვინს) აქტიორი! ვერ არის სასიამოვნო, მაგრამ რას იზავ!... კრიზისია .. უარს ვერაფერზე ვიტყვი... ჩემი ხელობა ესეთია—შეიძლება ბადეს თევზი მოხვდეს. შეიძლება არა. ეს შემთხვევის საქმეა... ეხლაც ასეთს მდგომარეობაში ვარ. მაგრამ დროა შეუდგეთ საქმეს. (მაგა კამოდთან. კარებს ჯაკუნებენ. ქურდი ანარდს ჯიბეში ჩაიდებს. ისევ ჯაკუნებენ. კარი კაიდება და შემოდის სტამბის გამგე) დალახვროს ღმერთმა! აკი არ გავეები! (კადგა მარტხნივ)

IV

ოგეგეე და სტამბის გამგე.

სტ. გამგე (კარებს კაკეტებს და შემოდის) ბ-ნი ფხეკილაძე ბრძანდებით?

ქურ. (შეშინებული) ვინ?

Дозволено Главным Цензурным Комитетом

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტ. გამგე. ბ ნი ფხეკ-ლაძე.

ქ ურ. ეე... დიახ... დ-ახ.,.

სტ. გამგე. მე სტამბიდან ვარ..-

ქურ აჰა...

სტ. გამგე. უთუოდ ეხლა გეს'ით, თუ რაშია საქმე?

ქურ. დიახ, დიახ, მესმის: თქვენ სტამბიდან მოხვედით.

სტ. გამგე. ნება მომეცით მოგაგონოთ (ხსკრიშს ეძეგს)

ქურ. (კითხულობს) „ანგარიში გადადებულ წარმოდგენების ანონსებ·სა„.—მე მოვალე ვარ პირველ მარიამობის თვეს გადავიხადო შეიდი მანეთი. «—ხელს ვაწერ: ფხეკ-ლაძე. (ხსკარიშს გადასტეკს) დიახ, ყველაფერი რიგზეა, გმადლობთ.

სტ. გამგე. ფულის გადახდაზე რას იტყვით?

ქურ. მე რისთვის უნდა გადავიხადო?

სტ. გამგე. ძალიან კარგი. (კარებისკენ მიდის)

ქურ. მიდის. (მარჯვნივ გადადის)

სტ. გამგე. (კარებს კაკადებს და ყვირის) თქვენა გგონიათ ეგრე ადვილათ მორჩებით... ორჯერ გამოვგზავნე კაცი, ეხლა მე თითონ მოვედი! კმარა!

ქურ. დალახვროს ღმერთმა! მთელს სახლში ალიაქოთს ააყენებს.

სტ. გამგე. (შემოდის ოთახში და მაგიდაზე მუშტს დაჭერავს) შეკვეთა იცით და ფულის გადახდა კი არა!!.. გიცნობთ რა შვილია ბრძანდებით!.. ისე მოგექცევით როგორც გეკადრებათ!

ქურ. ღვთის გულისთვის ნუ ყვირით, ურე არა ვარ!

სტ. გამგე. (კარებთან მიდა) არა, ვიყვირებ! ვნახოთ როგორ გამაჩუმებთ!

ქურ. (მიდა მასთან) ტსს,—კარები დახურეთ!.. გადავიხდი, გადავიხდი..

სტ. გამგე. (კარს მიხურავს) აჰა! ეგრე სჯობია!

ქურ. მაჩვენეთ ანგარიში. (გადახედავს ამოიღებს თუმნიანს) ხურდა მოიტა.

სტ. გამგე ინებეთ

ქურ (წორა გითხრათ, ძლიერ დიდი ხმა გქონიათ.

სტ. გამგე. დიახ, ვერ დავემდურები. ამისათვისაც ვყევარ სტამბაში დაქირავებული. საცა ნისიას არ იძლევიან—მე მგზავნიან. მშვიდობით. (ადის)

ქურდი. (ანგარიშს ათვალიერებს) შვიდი მანეთი ამფცქვნეს.. არა უშავრსა, ეხლავე გავინაღდებ... მაშ შეუჯვეთ საქმეს.. (მიდა კამოდთან. კარს აჯაჭუნებენ.) ისევ!.. საზიზღრობაა (შემოდის ახალგაზრდა მრეცხავი ქალი. კალათით სარეცხი მოაქვს)

გრ აბაკელია

(დასასრული იქნება)

მგზავრის მთაბეჭდილებანი

—კახეთი და მისი დღევანდელი მდგომარეობა

ჩვენ ქართველებმა ათასჯერ უკეთ ვიცით სხვა ქვეყნების მდგომარეობა, ვიდრე ჩვენი ქვეყნისა; არ გვინდა და არა გვსურს ჩვენი სამშობლო საჯუქვლიანად გავიცნოთ; ჩვენ უმეტეს შემთხვევაში მოკლე კორესპონდენციებით ვკმაყოფილდებით და ამით გვგონია, ქვეყნის საკითხები გაშუქებული გვქონდეს. ნამდვილად კი სულ სხვა. ავიღოთ თუნდა კახეთი,—ეს ტურფა წალკოტი საქართველოისა. იგი შანგან აღწერილებას სრულიად მოკლებულია. კახეთში შესული მკვლევარი, რომელსაც ცოტა მაინც ინტერესებს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, აუარებელ მასალას პოვებს როგორც მეტად გასახარელს, გრეთვე გულ-სატკენს და ალსაშფოთებელს, რომლის შესახებაც ჩვენმა საზოგადოებამ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეინის სმის კვმო.

ამ ეოფდად ედირსი კეტის სახელი ედიკამ შექსპირია.

და ეს სახელი შეიქმნა ეკვდეეი, კვდეეტ სიეეენოებს და ხადხი თოეეანს სტეეს ამ სახელს, როგორც ედიდებედეს სიკეტობრიო, მსოფდიო ჭეენიოს.

ეეეგანშიის, ქეურდსა და დოთის სეურათი მოედხ ქვეეანას მოეფინა ამ კეტის სეურათი ან მისი ბიუსტით ამკობენ კაბდემიებს, სეოდებს, თეატრებს.

სამი სიეეენე კეტობრიობა მოტეეეებედი იეო. კიიმეერა ფოდსტეფეის სახეში „ეი ჭეენოსობის ნიტეამდს ეეძებდ და შოამმამეგდობიდან შიამმამეედობაში კადდიდ ადტეტებედი თოეეანება ამ პიროფენებისადმი.

რა მშეენიერი სიეეეტია ს

Digitized by Parliament Library

დობა სდგება. მეთურად ესსეკი გამოდის. გრაფ როტდენდი კი სული და გუდია ამ შეიქმუდობისა.

ამ ხანებში იწერება „ეულიოს კეისარი“ და „რიჩარდ II“, სადაც უმთავრესი ეუნოდდება სახელმწიფო შეიქმუდებათ აქვს მიქცეული.

დედოფალმა დიდი იწეანა „რიჩარდ II“-ს ჩამოერეული და მოითხოვა, რომ ეუტარი გამოეშალდენებინა. სწორედ ამ დროდან გრაფ როტდენდის სედმოუწერედ თხუზუდების ხელს ეწერს უოდიამ შეესებარი. ამავე დროდან დარიბსა და დატეკ მხახიობს უოდიამ შეესებარს ფეადი გაუჩნდება.

ესსეკის შეიქმუდება ხაიფუშა. შეიქმუდები კაესარმრდეს და ბეგრიც დასჯეს.

გრ. როტდენდი კაედენთან ნთაესვეების შეოხებით პატიებულ იქმნა. მაგრამ მას დაუკადეს ფეხ-მოუცვდედად ეხოვრა ბიძა მისის სასახლეში და თან დარჯეთ დუეეენეს ორი გამოცდილი ბერეზენება, რაზენკრანციისა და გილდენსტერნის მსგავსი ადამიანები.

იმედების კეფრუება და თავისუფლების მოკლება ბესიმისტურ გუნებაზე აეენებს გრ. როტდენდს. მაშინ შეიქმნა „ჰამლეტი“ მისი ბერეული რედაქციით.

მაგრამ ამ დროს ტახტზე ადის იაკობ I. იგი ეკდაგ თავისუფლებას ანიჭებს გრ. როტდენდს, ლაბადლოვებს და სანტიტიო საქმესაც ავლენს: კეკეგზეგრეს დანიას და იქაურ მეფეს მიუდოგოს ვაჟის შეძენა.

დანიაში მოგზაურობისა და უოფნის დროს „ჰამლეტი“ სამოდოოთ მადაშინდება.

სამშობლოში დაბრუნებისას კი გრ. როტდენდს ნაშრავენ იმ დორისთვის მეტად მადდ თანამდებობაზე—სამეფო ტეეების მოურავად.

ბენებსოთ დაახდოგენებს კი ახალი კედი შეაქვს როტდენდის ჭენიოსური შემოქმედებანი ითხზვის კომედიები: „როგორც თქვენ ეენებავთ“ „სიზმარი ზაფხულის ღამეს“ და სხვ.

1611 წ. როტდენდი ზედეთ მოგზაურობს. ქარაშხალი წამოეყრება ზღვა ეუდედება და ხომალდიც ეღუნება. თვითონ კი თავს კაადირჩენს ანგარის ეენძოდებზე

ამ მოგზაურობაში მიდებულ შთაბეჭდილებამ დაეწერინა უკანასკნელი ნაწარმოები: „ქარაშხალი“.

1612 წ. გრ. როტდენდი გაადიეგვდა. უოდიამ შეესებარი კი მოკვდა 1616 წ. მაგრამ უკანასკნელ ოთხ წედიწადს, როგორც ვიცით, მას არაფერი არ დაუწერია.

ამ გვარათ ს

მი ხაეკუნეკ, რაც ერთ ოდ როტდენდის სახელს არაფინ არ ანნობდა, თუმცა მისი ეეოდეშობიდი სული, რომელსაც თან ახდდა სიბრძნე მეცნიერისა და ეკამეკრეტელობის წინასწარმეტეველისა, ცხოვრებდა ადამიანთა შორის ე�დეკ ტრაგედიებისა და კომედიების სახით. დაბრმავებული ხალხი კი ფიქრობდა, რომ ეს მადდიანი ნაწარმოებნი ეეეუონოდ ეოფილ ადამიანს ეკაიმეკრეა ფანდენსეს!

თუმცა ამ სტრიქონების წერის დროს მოგვდის ფიქრად: რა ძნელი უნდა იეოს მკითხველისთვის შეესებარის სახელის დადგენა.

ისეთი მარავანდედით არის ეს სახელი მოსილი.

მაგრამ მეცნიერულ სიმართლეს რაი უნდა გაკვეცეთ და ეს სიმართლე რატომ არ უნდა ვიცოდეთ ქართველებმაც.

თუმცა ესეც კაა! ჩვენმა ხალხმა არა სთქვა: „შენ ხალი ინიდეკ, მეხალეს რას დაეკეცი“!

Дозволено Военной Цензурой

ხუ, ნუ მიგლოვეთ!

მე მზეს დავეეკ ახალ ცხოვრების
ახალ სხივ-ბით ელვარ-მზნე ვარსი,
ბრძოლის ჭანგებზე ვაეკერ ვთრთოლებ
შაე-ბნელ აწმყოთი შეთალხულ ქნარსა.
და ვიდრე ვბოვებ მის ნიტარ სახეს
თუ დავიდუნო, დავლიო სული,
ნუ, ნუ მიგლოვებთ, მხოლოდ გახსოვდეთ,
ვით სამშობლ ისთვის თავ-განწირული!

ალ. რიონისპირელი

ქართველი ჯარის კაცი

ივ. ელ. თალაქვაძე

პირველად გერმანიის საზღვარზე დაიიჭრა და მოთავსებულ იქმნა მოსკოვის ლაზარეთში. განკურნებისთანავე გაგზავნეს იმავე საზღვრისაკენ სადაც საიი თვ ს ბრძოლის შემდეგ კიდევ დასჭრეს მარჯვენა ფეხში. მეორედ განკურნების შემდეგ, მისივე თხოვნით, გაგზავნეს კავკასიის ასაარზზე, სადაც ოთხი-ხუთი თვე დაჭყა ახლა კი, 3 მეთთოვეს, ბრძოლაში მარჯვენა მკლავი მოუტტერეეიათ. მოთავსებულია ბაკოს ერთ-ერთ საავადმყოფოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომღერალ-მსახიობი

(სურათი იხ. პირველ გვ.)

კაზიმარ საველის ძე ცხომელიძე, რომელიც სამშაბათს, 19 მკათ. თბილისში გარდაიცვალა ჩვენს სამუსიკო-დრამატიულ წრეებში მუყაით მუშაკად ითვლებოდა. დაიბადა 1864 წ. 1 გიორგობისთვეს, მამა მისი თბილისის მოქალაქე იყო, დედა—რუსის ქალი. სემენარიაში სწავლის შემდეგ ჯერ თბ. საიმპ. მუსიკ. სკოლაში შევიდა, მერე მოსკოვის სამუსიკოე სასწავლებელში. სამუსიკო მოღვაწეობას სკოლიდანვე შეუდგა. სცენაზე გამოვიდა 90-იან წწ.

მიუხედავად იმისა, რომ კ. ც—ძეს კერძო სამსახურიც ჰქონდა (რკინის გზის სამმართველოში), ჩვენში სამუსიკო-დრამატიულ საქმეს ბეჯითად ემსახურებოდა: იგი იყო ერთი დამფუძნებელთაგანი თბ. სახალხო სამუსიკო საზოგადოების, აგრედვე წევრი ქართ ფილ. სიფხიზლის, სახალხო კითხვათა და სხ. საზოგადოებათა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ავჭალის აუდიტორიისა და რკინის გზის სცენებზე სახალხო საოპერო-დრამატიულ ნაწარმოებთა დადგმაში და საქველმოქმედო სალამოებში; დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხში სამუსიკო ხელოვნების აღორძინება-გავრცელებას. სახლში ამზადებდა მოწაფეებს ცალფა თუ საგუნდო სიმღერათათვის და ხმას უსწორებდა.

1900 წ. როდესაც ნ. გ. ქართველიშვილის თაოსნობით ქართულს ენაზე პირველად სრულად დაიდგა ოპერა „სევილიელი დალაქი“, კ. ცხომელიძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო (ფიგარო შეასრულა) და მას შემდეგ გატაცებული იყო ქართულად ევროპიულ მუსიკის გავრცელებით: მისი თაოსნობით ანუ უშაოლობელესი მონაწილეობით ითარგმნებოდა და იდგმებოდა ევროპიული ოპერები. თვით შეუსრულებია: რიგოლეტო, დემონი, ონეგინი, ტორეადო („კარმენი“), ტანიო („პაიაცები“), ერნანი, ვალენტინი (ფაუსტი), ბოშათა სიმღერები და მრ. სხ სწერდა უმთავრესად სამუსიკო რეცენზიებსა და სხვა წერილებს მუსიკის შესახებ. სამუსიკო საკითხების გარკვევაში იყო მოურიდებელი და პირდაპირი.

კ. ცხომელიძის მოულოდნელი სიკვდილით (ჯერ 52 წ. იყო) სახალხო სამუსიკო მოღვაწეთა გუნდს ერთი დაუცხრომელი მუშაკთაგანი გამოაკლდა.

კეთილი იყოს ხსენება მისი

ი—ელი

გრიგოლ (გრიშა) ზურაბის ძის თავ. ხერხეულიძის დამწუხრებული მშობლები: თავ. ზურაბ დიმიტრის-ძე, კნ. ოლღა დარისპანის ასული, ძმა მიხეილი, და სონია, რძალი დარიკო და დეიდა ანა ელიოზიშვილისა ულრმეს მადლობას უცხადებენ დ. თიონეთის საზოგადოებას და ყველა ნათე ავ-ნაცნობ-ამხანაგებს, რომელთაც მათი ძვირფასი გრიგოლის ცხედრის გადმოსვენება-დაკრძალვის დროს დასწრებით, დეპეშებით, ან სხვაფრივ მათი მწუხარება გაიზიარეს.

სურამში შაბათს, 16 მკათ. შალვა დადიანმა ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეთბით წარმოადგინა საკუთარი პიესა „შენი ჭირიმენი“—კალმის ნაეშმაკარი, სამ მოქმ. ე. გენერლის როლს თვით შ. დადიანი კარგად ასრულებდა. „კნიაჟნა“ ოლია საუცხოვოდ განასახიერა ე. ანდრონიკაშვილმა. კარგი იყო ბ-ნი გ. ვეზირიშვილიც (ბურდული). პირნათლად შეასრულეს: ქ-მა ჩელაქნელმა (კნ. მერი) და ბ-მა გ. ლორთქიფანიძემ (ვექილი). გენერლის ვაჟის როლს (სოსიკო) ასრულებდა ბ-ნი გრიშა სულიაშვილი. ამ სცენის მოყვარეს თავისი ნიჭიერი და დაფიქრებული თამაშით არა-ერთხელ დაუტკბია სურამ-ხაშურის საზოგადოება. მასში უტყუარი ნიჭი ღვივის. მისი ამპლუაა დრამტ. როლები, ამ სალამოსაც ბევრ გულჩვილ მაყურებელს მოჰგვარა თვალებზე თანაგრძნობის ცრემლები.

შემდეგ დასდგეს ვოდ. აოხსპირელისა „მშვიდობით ოცნებავ“, სადაც ქ-მა ე. ანდრონიკაშვილმა საუცხოვოდ დაგვიხატა თანამედროვე ქალის ხატება და ბევრი აცინა საზოგადოება. ხალხი ბევრი დაესწრო და 12 ს. მეტად ნასიამოვნებიც დაიშალა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს დ. ხაშურშიც იყო წარმოდგენა, წარმოადგინეს სუნდუკიანცი ცნობილი პიესა „პეპო“

კაკალი

სახელოსნო კლუბში 7 მკათ. ნაძალადევის ახ. წარმ მმართ წრემ წარმოადგინა ალ. ყაზბეგის „ყაჩ ღი არსენა“. პიესაში მონაწილეობდენ დამსახურებულნი მსახიობნიც—ვ. გამყრელიძე (გარსევან ამაყაძე) და გ. გედევანოვი (სირაჯი), რომელთაც, რაღა თქმა უნდა, ნაკისრი როლები საუცხოვოდ შეასრულეს დანარჩენი სცენის მოყვარენიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ, რის გამოც პიესამ საუკეთესოთ ჩაიარა. ხალხი საკმაოთ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა, რადგანაც წარმოდგენა უფა ო იყო. ამ მხრით კლუბის გამგეობა ღირსია მადლობ სა; მამასახლისთ გადაუწყვეტიათ წარმოდგენები ყოველთვის უსასყიდლოთ ბართონ ხოლმე და ხალხმა ო ს ადგილას აღარ გაიღოს ფასი (კლუბში შესაშვლელ ფასს მხოლოდ 15 კაპ. წაემატება). ამ ფასით კი ხელ სანი მაყურებელი დაესწრობა ყოველგვარ გასართ ბს ასე წარმოდგენებსაც უფრო მეტი მაყურებელ-მსმენელი შეეძინება. სხვათა შორი . ჩვენ შევნიშნეთ ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენა: ბ-ნი გედევანოვი-პროჟექტორის დასასრულს ჰმართავს ხოლმე კითხვა-საუბარს სხვა და სხვა სამეცნიერო საგნებზე (ელექტრონის ძალა, მისი შემადგენელი ელემენტები და სხ.) მაგრამ. სამწუხაროდ, საზოგადოება ძლიერ ნა

კლებათ ესწრობა და ეს ი-ოტიმ, რომ ჯერ-ჯერობით ალაბად დამსწრეთ არ აინტერესებთ ასეთ საგანთა სწავლა. საპირო, მამასახლისთა საბჭომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და ლექციათ-საუბრების შინაარსი ხალხის ყოველ-დღიურ ჭირ-ვარამის გამოხატვას შეუფარდოს, ე. ი. ისეთი საუბრები გამართოს რაც ხალხის გულს მალამოდ მოეცხება და დღევანდელ კითხვებს გუარკვევს.

ალექ. ბაჯიაშვილი

ნოდ ხაშმი (ბარე კახეთი) კვლავ გამოიზიზლების გზას დაადგა. გასულ ორშაბათს, 18-მკათათვეს აქ შესდგა მოწონავე პირთა კრება ადგილობრივ კულტურულ საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად, ეს სოფელი ერთ დროს კულტურულად წინ იდგა: ჭქონდა სკენა, სამკითხველო, მართავდა საუკეთესო წარმოდგენებს, დღეს-კი ყოველივე ეს მინგრეულ-მონგრეულია, დღეს, როდესაც საკმაო ინტელიგენტური ძალნი მოიპოვებიან და თეატრი და წიგნები უფრო საპიროა... კრებამ დაადგინა: 1) ეთხოვოს ქ. შ. წ. კ. საზ-ას, რომ ხაშზე დაიფუძნოს სამკითხველო ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის სახელზე; 2) შეკრებილ იქმნეს ძველი სამკითხველოს გაფანტული წიგნები, 3) დაკირავებულ იქმნეს სამკითხველოსთვის ოთახი; 4) შესდგეს ქ. შ. წ. კ. საზ-ის ხაშის განყოფილება, რომელიც იზრუნებს სამკითხველოს შესანახად, სახალხო წარმოდგენებისა და კითხვების გასამართავად და სხ.; 5) ამავე კრებაზე აირჩა კომისია, რომელსაც დაეევალა შეადგინოს სათეატრო შენობის შესაკეთებელი ხარჯთ-აღრიცხვა და მალე კრება მოიწვიოს. კარდა ამისა—6, აირჩა კომისია, რომელსაც დაეევალა, გამოძიოის ამ ოცოიდე წლის განმავლობაში გამართულ წარმოდგენების შემოსავალი სად რას მოხმარდა და გადარჩენილი თანხა ბანკშა შეიტანოს მღ. ივ. ხაბაზიშვილის სახელზე.

საკრო კომისიებში არჩეული არიან ადგილობრივი გლეხები და ქალიც. ვუსურვოთ წარმატება

ადგილობრივი გლეხი

სპბამიეს სერის სკოლის შენობაში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დ. თვეზაძის რეჟისორობით კვირას, 10 მკათათვეს, სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს ირეთელის 5 მოქ. დრ. „დამარცხებულნი“. ნიკო ბერდიაშვილის როლი თვეზაძემ საშუალოდ შეასრულა. არა უშავდათ დ. დუჩავას (ვანო), ი. ხუნდაძეს (ქეთო) და ფ. რამიშვილს (მიშა). ე. რამიშვილმ (ელისაბედი) როლის დაკვირვებული და გრძნობიერ შესრულებით სახოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია. საერთოდ წარმოდგენას არა უშავდარა. ხალხი ბევრი დაესწრო, სამწუხაროდ ზოგი ერთი ვაჟბატონი ხელის შეწყობის მაგიერ თეატრში გალეშილი მოსულიყო და „მკლავად ობას“ ჩემოლობდა. საპირთა წეს-რიგს მეტი ყურადღება მიაქციონ.

ესეგი დასი 15 მკათათვე თვის ზემოხეთს გავმგზავრა. „არსენას“ და „დილა ქორწილის შემდეგ“-ის წარმოსადგენად

ბ. ესაშვილი

ახალი კლუბი

1 კვირის პრ. 24—31 ივლისს

ოკრშაბათი— რუსული ოპერეტა

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი—სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

პარასკ. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბ.—სიმფ. კონცერტი

კვირა—საბავშო საღამო, ორკეს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.

წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ ს,

სშესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ

სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და

სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

ხარფუხის საზ. გადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 24—31 მკათათვეს

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

ოკრშაბათი—სინემატოგრაფი; სამხ. მუსიკა.

სამშაბათი—სინემატოგრაფი; სიმებიანი ორკ.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა; ბალ-სამხედრო— მუსიკა

ხუთშაბათი—სინემატოგრაფი; საზანდარი.

პარასკევი სინემატოგრაფი. სამხ ორკესტრი

შაბათი—ქართ. „ძალად“ ტრაღიკოსი; დიმიტრისმენტი.

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

რედაქტორ-გამომცემელი „ანნა“ იმედაშვილისა

Дозволено Военной Цензурой ტ ა ტ ბ ა „სორბანი“